პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი სამშაბათი 20 იანვარი № 15 (17957) ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის *XXVI* ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია წარმოებს დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში.

ტელეფონი: 93-77-30, 93-77-79.

ასე ვიგვარდეთ, ასე ავმაღლდით

საქართველმა ხალხმა, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, არათუ თავი გაართვა სახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლედში დასახულ ურთულეს ამოცანებს, არამედ გაცილებით მეტი შეძლო. დღეს იგი, როგორც დიდი საბჭოთა ქვეყნის მოწინავე რაზმის წევრი, ხვავიანი ნობათით, პირნათელი ეგებება სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას.

— ფონი გასავალს აქეო, — ნათქვამია. და აი, გავლილია ფონი და მართლაც რომ ბარაქიანი აღმოჩნდა ჩვენი ხალხისათვის გასული წელი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა მთლიანად მეათე ხუთწლედის წარმატებით დაგვირგვინების საქმეში. მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ გასულ ხუთწლედში მეცხრე ხუთწლედთან შედარებით წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 141 პროცენტი შეადგინა. ეს ხომ იმ ეკონომიკური მაჩვენებლების მაჭსიმუმია, რომლებიც „საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებებით“ იყო გათვალისწინებული.

წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად განუხრელად ვამაღლებდით შრომის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, უფრო ეფექტიანსა და ყაიარათიანს ვხდიდით ჩვენს საქმიანობას.

ახლა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში დამზადებულ 2800-ზე მეტ ნაწარმს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი ამშვენებს. ამ მაჩვენებლით ჩვენ დღეს ერთ-ერთი პირველი ადგილი დავიკავეთ მოძმე რესპუბლიკებს შორის.

განსაკუთრებით დიდი წარმატებებია მოპოვებული მიწათმოქმედების, კერძოდ, მეჩაიეობისა და მევენახეობის განვითარებაში. პირველად საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიაში შარშან დამზადდა 500 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და 800 ათას ტონაზე მეტი ყურძენი.

ამ წარმატებებს, დღეს, საქართველოს კპ XXVI ყრილობის წინ ხიამაყით რომ გვივსებს გულს, ჩვენი ხალხი ენერგიული შრომით სჯიდდა ყოველ წუთს, საათს, დღეს, დეკადას, თვესა და კვარტალში. მეათე ხუთწლიანი დავალების შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო მშრომელთა თითქმის 2-მილიონიანი არმია, აქედან შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობაში მონაწილეობდა მილიონზე მეტი კაცი.

„ქვეყნის წინაშე მდგომი მრავალფეროვანი ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტის ერთადერთი გზაა, — აღნიშნა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე მოხსენებაში, — შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა. ამ ამოცანის გადაწყვეტას, საბოლოო ანგარიშით, ექვემდებარება სოციალისტური შეჯიბრების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობის ყოველნაირად განვითარება, მოწინავე გამოცდილების გავრცელება“.

პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე ეტაპზე შრომითი მეტოქეობის ორგანიზაცია ინდივიდუალური და კომპლექსური მიდგომის ორგანულ შერწყმას მოითხოვს. იქ, სადაც ეს სწორად გაიგეს, თითოეულ სამუშაო ადგილზე წარმატებით ყველანი ხაგეგმო თუ საფინანსო, ახალი ტექნიკისა თუ ტექნოლოგიის დანერგვის, მომარაგებისა და სოციალური განვითარების ამოცანებს. მთავარია, რომ ის სამსახურები, რომლებიც წარმოების პროცესს უზრუნველყოფენ, შეუფერხებლად მოქმედებდნენ.

მეათე ხუთწლედი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციული საკითხების განახლებისა და მისი ახალ საფეხურზე აყვანის ხუთწლედიც არის. შრომითი მეტოქეობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვამ, მასების სულ უფრო მზარდმა აქტიურობამ, სოციალისტური შეჯიბრებისადმი ახლებურად მიდგომა მოითხოვა.

ამიტომ მისი სწორი ორგანიზაცია და წარმართვა ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რა მეცნიერული პოტენციალია მასში გაბოყენებული. ამ მიმართულებით დიდი და მრავალმხრივი სამუშაოები განხორციელდა რესპუბლიკაში. თბილისში გაიხსნა სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკური კაბინეტი, აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს სოციალისტური შეჯიბრების პრობლემათა სამეცნიერო-მეთოდური საბჭო. მარტო ის რად ღირს, რომ თბილისის საწარმოო გაერთიანების „ელმავალმშენის“ ელექტროშტაბელერების გამოშვებაზე დასაქმებული კომპლექსური ბრიგადის (ხელმძღვანელი — სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ა. გელაშვილი) გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალი რეკომენდაციებით დღეს წარმატებით შრომობს ათასზე მეტი კომპლექსური და გამბოლი ბრიგადა, რომლებმაც საგრძნობლად გაუუჯობესეს თავიანთი ეკონომიკური მაჩვენებლები.

აი უკვე რამდენიმე წელია წარმატებით მუშაობენ რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკების, საოლქო, საქალაქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელების კომისიები, რომლებიც თავიანთ ყურადღებას ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე ამახვილებენ და საუკეთესო წარმატებებსაც აღწევენ. მათ შორის ქების ღირსია პარტიის აჭარის საოლქო, თბილისის და ქუთაისის საქალაქო, აბაშის, მახარაძის, გურჯაანის, თერჯოლისა და ბოგდანოვკის რაიონული კომიტეტები, რომლებმაც სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისათვის გაწელილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

სოციალისტური შეჯიბრება ადამიანთა კომუნისტური აღზრდის, შრომითი წარმატებების გამრავლების ქმედითი საშუალებაა.

გავიხსენოთ ბათუმელ მანქანათმშენებელთა ინიციატივა — „თითოეული კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობიდან — პროდუქციის მაქსიმალური ამოგება!“ მას პირველებმა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშებმა დაუჭიეს მხარი და შედეგიც საუკეთესო მიიღეს: თუ კი აქ 1976 წელს ერთ კვადრატულ მეტრ სამრეწველო ფართობიდან 880,8 მანეთს იღებდნენ, შარშან ამ მონაცემმა 800 მანეთს მიაღწია. თითქმის 80 პროცენტით გაიზარდა ეს მონაცემი თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვაში“.

უახლოეს მომავალში ამ ინიციატივას ეს ორგანიზაციებიც ეფექტურად ეპასუხებიან. ეს ასეა, ეს ასეა, ამ ინიციატივას ეს ორგანიზაციებიც ეფექტურად ეპასუხებიან. ეს ასეა, ეს ასეა, ამ ინიციატივას ეს ორგანიზაციებიც ეფექტურად ეპასუხებიან.

სიტყვა ყრილობის დელეგატზე

ჯერჯერობით — ერთადერთი

ტექნიკური კიბერნეტიკა თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი რთული დარგია და ცოტა ხანია ამ სპეციალობით ჯერჯერობით ერთადერთი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ქალია საქართველოში. ჯერაც ახალგაზრდა მკვლევარს ტექნიკურ კიბერნეტიკაში უკვე სამი მონოგრაფია აქვს გამოქვეყნებული (ცნობილ უკრაინელ სწავლულთან, აკადემიკოს გ. პუხოვთან თანაავტორობით), საერთოდ კი ოცდაათამდე ნაშრომი აქვს დაწერილი. თბილისის XXXVIII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, სადაც ც. ხატიაშვილი საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატად აირჩიეს, მეცნიერმა ყურადღება გაამახვილა ტექნიკური კიბერნეტიკის კადრების ნაკლებობაზე, რაც ასე აძნელებს მრეწველობაში გამოთვლითი ტექნიკის, ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვას.

— გავაძლიეროთ მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთკავშირი — ძირითადი მიმართულებების ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოწოდებას თითქოს იმ ორგანიზაციის სახელწოდებაც ეხმაურება, რომელსაც ც. ხატიაშვილი კონფერენციაზე წარმოადგენდა. ეს არის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა“, სადაც იგი ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მრავალმანქანიანი მმართველი გამოთვლითი კომპლექსების

განყოფილ ებას ხელმძღვანელობს. თქვენ მიერ შესრულებული გამოკვლევები პრაქტიკაში რა გამოყენებას პოულობს-მეთქი? — დავინტერესდი. პასუხად მან გადმომცა სია, რომელიც საკმაოდ შემოკლებულიც კი ერთობ შთამბეჭდავად გამოიყურება.

უახლოესი შემოქმედებითი გეგმების გაცნობა რომ ვთხოვე, მითხრა, წელს ვამთავრებო მონოგრაფიულ ნაშრომს „ობიექტთა მათემატიკური მოდელირება მიახლოების მაღალი ხარისხით“.

საერთაშორისო ასოციაციის „მათემატიკა და გამოთვლითი ტექნიკა მოდელირებაში“ საბჭოთა კავშირის ეროვნული კომიტეტის საქართველოს ტერიტორიული ჯგუფის თავმჯდომარე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს წევრი, თავისი ინსტიტუტის ერთ-ერთი სამეცნიერო სემინარის ორგანიზატორი, შვიდი ასპირანტის ხელმძღვანელი, — კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა ჩვენს დელეგატზე, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ. ამ ტანმორჩილ, მოძრავ, უაღრესად ინტელექტურ ქალში ისეთი ენერგიულობა და შემოქმედებითი უნარი იგრძნობა, რომ დარწმუნებული ვართ, კვლავაც არაერთხელ მოგვცემს მასზე სასიამოვნო საუბრის საბაბს.

თ. ეგანოვიძე.

სურათზე: ც. ხატიაშვილი.
ჯ. ლომაძის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ჯამდება შედეგები, ისახება პერსპექტივები

შარშან რესპუბლიკის ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, რომლებიც ხელმძღვანელენენ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საზოგადოებრივი მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

ამავე დროს მთელი რიგი რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სუსტად წარმართავენ მუშაობას პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ვერ უზრუნველყოფენ მეურნეობათა საქმიანობის საწარმოო-ფინანსური შედეგების გაუმჯობესებას.

ბევრ მეურნეობაში ჯერ კიდევ ვერ იყენებენ ეფექტიანად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, სარწყავ წყალს, სასუქებს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, რის შედეგადაც პროდუქციის წარმოება არ იზრდება.

ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობებში მატერიალურ საშუალებათა უყაირათო ხარჯვის გამო, წინასწარი მონაცემებით, მთლიანი შემოსავალი წინა წლის დონესთან შედარებით შემცირდა 223 ათასი მანეთით, ზაზარის რაიონში — 170 ათასი მანეთით, ცაგერის რაიონში — 598 ათასი მანეთით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 107 ათასი მანეთით.

ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობასა და სამეურნეობათაშორისო საწარმოში (ორგანიზაციაში) დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ საზოგადოებრივი ჭონების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისათვის, რაც იწვევს ფულადი და მატერიალური სახსრების გაფუჭებასა და დატაცებას.

ცხინვალის, ზნაურის, ამბროლაურის, ცაგერის, ბორჯომის, სიღნაღის, ქარელის, ლაგოდეხისა და ახალქალაქის რაიონების ზოგიერთ მეურნეობაში მატერიალურ ღირებულებათა ინვენტარიზაციას აქვს ფორმალური ხასიათი, არ აფასებენ სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს და არ სახავენ მათი აღმოფხვრის ღონისძიებებს.

გორის, კასპის, ქარელის, ხაშურისა და ახალქალაქის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში 1980 წლის 1 დეკემბრისათვის ინვენტარიზაცია არც კი ჰქონდათ დაწყებული. ზნაურის რაიონის სოფელ თერეგვანის კოლმეურნეობაში საანგარიშო კრებისათვის არ შეუდგენიათ წლიური ანგარიში, სარევეზიო კომისიის აქტი და კოლმეურნეობის გამგეობის საანგარიშო მოხსენება.

ქარელის რაიონის სოფელ ხვედურეთის კოლმეურნეობაში ინვენტარიზაციის დროს საინვენტარიზაციო კომისიამ არ გამოაღენინა ხახვის მოსაყვანად დაქირავებული პირებისათვის უკანონოდ 15 ათასი მანეთის გაცემის ფაქტი, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცის კოლმეურნეობასა და მეცხოველეობის გაერთიანებაში 523,3 ცენტნერი კომბინირებული საკვების გაფლანგვის, ხოლო ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობაში 1400 კილოგრამი ნივრის გაფლანგვის ფაქტები.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯეროვნად ვერ აკონტროლებენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი 1980 წელს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საწარმოო-ფინანსური საქმიანობის შედეგების შეჯამებისა და რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების მოწყობის შესახებ და საქართველოს კომპარტიის საოლქო და რაიონულ (საქალაქო) კომიტეტებს, აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაავალეს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მეურნეობებს, ამასთან უურადღება მიაქცონ ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებას, შინაგანი რეზერვების გამოყენებასა და პროდუქციის წარმოების გადიდებას, შრომას, საგეგმო, ფინანსური, საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, საზოგადოებრივი მეურნეობის მართვაში მასების აქტიურობის გადიდებას, საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა-მოვლის უზრუნველყოფას; მიაღწიონ კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების შემოსავლის სწორ განაწილებას.

წლიური ანგარიშების შედგენა უნდა დამთავრდეს 1 თებერვლამდე, ხოლო საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მათი განხილვა — 10 თებერვლამდე.

საქართველოს კომპარტიის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ 1981 წლის 15 თებერვლამდე დაამთავრონ კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) წლიური ანგარიშების განხილვა და უზრუნველყონ, რომ კრებისთვის ანგარიშები 1 მარტამდე წარედგინოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებს, საქსახსოფლტექნიკას წინადადება მიეცეთ უზრუნველყონ თავიანთ წარმომადგენელთა მონაწილეობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა კრებების მუშაობაში.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) პირველადა პარტიულმა ორგანიზაციებმა წინასწარ უნდა განიხილონ 1980 წელს მეურნეობათა სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის შედეგები, შეიმუშაონ საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი განვითარებისა და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი, უზრუნველყონ კომუნისტების აქტიური მონაწილეობა მთელი მეათე ხუთწლედის მუშობის შედეგების, შეჯამება-განხილვის კამპანიაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები გაგზავნებიან ქალაქებსა და რაიონებში, რათა მონაწილეობა მიიღონ კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების შემოსავლის სწორ განაწილებას.

(საქინფორმი).

სუსტხიანი სტრიქონები

ვის აძლევს ხელს ჩამორჩენა

ანუ რატომ ეგუებიან მეშახტეები ასეთ ხარვეზებს

რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა შორის გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალჯერ უსაწყლია ბოლო ქალაქ ტყიბულის „დასავლეთის“ შახტის (დირექტორი — ლ. კორძაძე) კოლექტივს. ამაზე მეტყველებს არაერთი და ორი ჯილდო, სიგელი, გარდამავალი წითელი დროშა. სამწუხაროდ, ბოლო ხანებში ამ კარგი შრომითი ტრადიციების სამთო საწარმომ თანდათან დაიმო მოწინავე პოზიციები და მაჩანჩალის ბედს დასჯერდა. იგი ახლა ერთადერთი საწარმოა ქალაქში, რომელმაც მთლიანად ჩაშალა ქვანახშირის ამოღებისა და რეალიზაციის მეათე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმა, თავი შეირცხვინა, სოციალისტური ვალდებულებით ნაკისრი სიტყვა ქარს გაატანა. შახტის კოლექტივმა გასული ხუთწლედის მაძღილზე ქვეყანას 84 ათასი ტონა საკოქსე ქვანახშირი დააკლო, აქედან 17 ათას ტონამდე — შარშანდელ გეგმაზე მოდის. მეტად გაძვირდა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება, რამაც შახტს ხუთწლედში დიდი ფულადი ზარალი მიაყენა.

წარსულში მიუტევებელ ცუდ მუშაობას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ შახტის კოლექტივი არც ახალი, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი დღეებიდან დასდგომია ჩამორჩენის დაძლევის გზას. სამეურნეო წლის პირველ დღეებში მდგომარეობა კვლავ საგანგაშოა! აქ არ იგრძნობა კოლექტივის შემართება და დიდი შრომითი ენთუზიაზმი. მაგალითად, 3 იანვარს ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო გეგმა მხოლოდ 74,7 პროცენტით შესრულდა, 4 იანვარს — 78 პროცენტით, ხოლო 5 იანვარს — 83,1 პროცენტით. ყველაზე სავალალო მაინც ის არის, რომ მდგომარეობის გამოსწორებას საიმედო პირი არ უჩანს.

რა მოხდა, სად ვეძიოთ შახტის ასეთი ხანგრძლივი ჩამორჩენის მიზეზი?

პირველი და მთავარი მიზეზი საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ სუსტი ხელმძღვანელობაა. ჩამორჩენა თავდაპირველად ქვანახშირის გეოლოგიური მარგის მკვეთრმა შემცირებამ გამოიწვია. ეს მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა; შახტმშენებლებმა უკვე გადახსნეს ღრმა სამთო ველი, მომზადდა დიდი სამუშაო ფრონტი. ყველას ეგონა, რომ ამიერიდან შახტი თავს დაიღწევდა ჩამორჩენას, მაგრამ ამოდ. წარმოების ეგრეთწოდებულ „ვიწრო ადგილად“ გადაიქცა საველე შტრეკი, რომლის. ერთლიანდაგიანი რკინიგზის ხაზი ვერ უზრუნველყოფს მონგრეული ნახშირის ტრანსპორტირებას.

ბოლო ხანებში საექსპლოატაციო სამუშაოების ღრმა, მეოთხესე ჰორიზონტზე გადაადგილებამ სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი სიძნელეებიც წარმოშვა. მეორე კი — ადგილობრივი ხასიათისაა. ჩამორჩენა არ იქნებოდა, რომ შახტის სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მესვეურები სათანადო სიმაღლეზე მდგარიყვნენ და წლების მანძილზე საქმე თვითდინებაზე არ მიეშვათ.

ფართოდ არ იყენებენ მონათესავე საწარმოებში მიღწეულ მოწინავე გამოცდილებას, სათანადო სიმაღლეზე არ არის რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საქმე.

საჭიროა არსებული ტექნიკური პარკის დაუყოვნებლივ განახლება. სიძველის გამო ხშირად გამოდიან მწყობრიდან სამთო მექანიზმები და დანადგარები. საჭიროა მათი გულმოდგინედ შეკეთება, საგეგმო-პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, რასაც შახტის ტექნიკური სამსახური თავს ვერ აბამს. ერთი გარემოებაც. რატომღაც აქ დაკანონეს დასვენების დღეებში მუშაობა, შემცირდა შემკეთებელთა ბრიგადების რიცხვი. საწარმოს ხელმძღვანელობა იერიშობანით არის გატაცებული, თითოეულ დღისა და საათს მარტო ქვანახშირის ამოღებას ახმარს, მექანიზმების დადაუდებელი და მეტად საჭირო რემონტი კი განზე რჩებათ. მარშან შახტმა, მაგალითად, 19 დასვენების დღე იმუშავა და 7840 ტონა ქვანახშირი ამოიღო, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს დღეები რომ მექანიზმების შეკეთებისათვის გამოეყენებინათ, მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

შახტის ადმინისტრაციის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები სათანადოდ ვერ აფასებენ რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულ თაოსნობას — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდით!“ — კოლექტივის მამობილიზებელ ძალას. აქ ჯერაც სათანადოდ ვერ არის გავრცელებული ეს თაოსნობა. დაბალია შრომისა და საწარმოო დისციპლინა, მომმავლდნენ სამუშაოს უმიზეზოდ გამცდენნი. შარშან 57 მეშახტემ 611 კაცდღე გააცდინა. ამის გამო 7 ათას ტონამდე ქვანახშირი ვერ ამოიღეს. დიდია მუშათა დენადობაც. შარშან 139 მეშახტე წავიდა, მოსცლით კი მხოლოდ 121 კაცი მოვიდა.

შახტის კოლექტივმა ამთავითვე უნდა გარდაქმნას მუშაობა, რადგაც უნდა დაუჯდეს, თავი დაიღწიოს ხანგრძლივ სამარცხვინო ჩამორჩენას და პირნათელი შეხვდეს სკკპ XXVI ყრილობის გახსნის ისტორიულ დღეს.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფორუმის მონაწილეებს

ძვირფასო მეგობრებო!

გულითადად მივესალმები მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფორუმის მონაწილეებს. სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური ორიენტაციის ახალგაზრდობის წარმომადგენელთა ესოდენ ფართო შეხვედრის მოწვევა, რომელიც ეძღვნება მშვიდობისა და ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლას, — სასიხარულო დასტურია იმისა, თუ რა პასუხისმგებლობით უდგება ახალგაზრდა თაობა პრობლემებს, რომლებიც მთელ კაცობრიობას აწუხებს.

მსოფლიოს საქმეთა მდგომარეობა დღეს არ შეიძლება არ იწვევდეს შეშფოთებას. მილიტარიზმის, აგრესიისა და ჩაგვრის ძალების მოქმედება გაცამტვერებას უქადის ყოველივე დადებითს, რაც მიღწეული იყო გასულ ათწლეულში ხალხთა და სახელმწიფოთა ურთიერთგაგების, ნდობისა და მშვიდობიანი თანაშრომლობის განვითარების გზაზე. სულ უფრო იზრდება მომაკვდინებელი გამალებული შეიარაღება. დღეს არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, იმაზე უფრო კეთილშობილური მიზანი, ვიდრე შევაჩეროთ ეს პროცესი, არ დავუშვათ, რომ კაცობრობას თავს დაატყდეს კატასტროფა, შევინარჩუნოთ დაძაბულობის შენელება და ვიაროთ წინ მტკიცე, სამართლიანი და დემოკრატიული მშვიდობის გზით.

სიმბოლურია, რომ, თქვენს მიერ მოწყობილი მშვიდობის ახალგაზრდა მომხრეთა მსოფლიო შეკრება მიმდინარეობს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში, სადაც ხელმოწერილი იყო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტი. ამ ისტორიული დოკუმენტის პოლიტიკურ პრაქტიკად გადაქცევის საქმეში დიდი წვლილი შეიძლება შეიტანოს და კიდევაც უნდა შეიტანოს ახალგაზრდობამ. დღეს არ კმარა მარტოოდენ გსურდეს მშვიდობა — მშვიდობა უნდა დაიცვა, მისთვის უნდა იბრძოლო, ახალგაზრდობიდანვე უნდა სწავლობდე ცხოვრებას ჩვენს პლანეტაზე მშვიდობიანად და მეგობრულად. სწორედ ამას უნდა შეუწყოს ხელი, უწინარეს ყოვლისა, სხვადასხვა ორიენტაციის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ფართო თანამშრომლობამ.

საბჭოთა კავშირისათვის მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დასამკვიდრებლად ბრძოლა მუდამ იყო და არის უპირველესი მნიშვნელობის ამოცანა. მიგვაჩნია, რომ ომის საფრთხის აღმოფხვრის ერთადერთი გონივრული გზა მოლაპარაკების გზაა ამ პირობით, თუ მკაცრად იქნება დაცული თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების პრინციპი. ჩვენი ქვეყანა ილაშქრებდა და ილაშქრებს დეტენტისა და ექსპანსიონიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ, მხარს უჭერს ხალხთა თავისუფალ და დამოუკიდებელ განვითარებას, ყველა იმ პრობლემის სამართლიან პოლიტიკურ მოწესრიგებას, რომლებიც საერთაშორისო დაძაბულობას ქმნის.

დე, თქვენი ფორუმი იყოს კარგი ხტიმული ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მონაწილეობის გასაქტიურებლად გამოცემული შეიარაღების წინააღმდეგ. განიარაღებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის მშვიდობისმოყვარე ძალების მოძრაობაში!

წარმატებებს გისურვებთ ამ ბრძოლაში!

ლ. ბრეჟნევი.

კომკავშირის პრემიის ლაურეატები

საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის მაღალ წოდებას ანიჭებენ რესპუბლიკის ახალგაზრდობის ყველაზე საუკეთესო წარმომადგენლებს.

და აი, კვლავ, ამჯერად საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის წინა დღეებში, რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში საქართველოს კომკავშირის 1979-1980 წლების პრემიები გადაეცათ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეებს.

ლაურეატებს, რომელთა შორის ბევრია რესპუბლიკის კომუნისტთა მომავალი ყრილობის დელეგატი, საპატიო ჯილდოები გადასცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ორჯონიკიძემ. მან დაჯილდოებულთ მიულოცა დიდი წარმატება, უსურვა ახალი, კიდევ უფრო ბრწყინვალე გამარჯვებები. დაჯილდოებულთა შორისაა სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის თბილისის საწარმოო გაერთიანების ნ. კურჩენკოს სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც სათავეში უდგას ლ. რაზმაძე, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე რ. გუშბა, თბილისის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხნის ელექტროშემდუღებელი გ. ჟუკოვინი, მარნეულის რაიონის მეორეხეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მებოსტნე გ. ახმედოვი და სხვები.

იმავე დღეს ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის დიპლომები და სპასატინა ნიშები გადაეცა ახალგაზრდა მეცნიერებს, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ორჯონიკიძემ მიულოცა ლაურეატებს ჯილდოები.

იმათ შორის, ვინც ჯილდოები მიიღო, არიან ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. დარსაველიძე ნაშრომების ციკლისათვის — „ფაგთა ზონის მონათესავე ჯგუფის ბიოლოგიური და გენეტიკური თავისებურებებისა და პრაქტიკაში მათი გამოყენების შესაძლებლობათა შესწავლა“. პოეტი ე. ნიჟარაძე — წიგნებისათვის „მარადისობის დღესასწაული“, „მაღალი იალქანი“ და პოეტური ციკლისთვის „გმადლობთ, სიცოცხლეს!“, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ფაზისი“ — „ტიტიერი საკონცერტო მოღვაწეობისა და ქართული სიმღერებისა და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებების პროპაგანდისათვის, „საქქალაქმშენის“ საპროექტო ინსტიტუტის № 3 არქიტექტურული სახელოსნოს კოლექტივი და სახელოსნოს ხელმძღვანელი არქიტექტორი ვ. ცუხიშვილი — კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძის კომპლექსის პროექტის ავტორები, ჟურნალისტი ნ. ბეგალაძე და სხვები. მათ პირობა დადეს, რომ მომავალშიც იშრომებენ ხალხის საკეთილდღეოდ. (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება: საქალაქო კომიტეტი და ეკონომიკა

ვმართოთ კომპლექსურად

ეფექტიანობისა და ხარისხის საქალაქო კომისია მოქმედებს...

ისტორიის კუთვნილება გახდა მეათე, ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედი. ცოტა დრო დარჩა სკკპ მორიგ XXVI ყრილობამდე, რომლის ღირსეული შეხვედრისათვის რესპუბლიკის საბალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელთა სამზადისი კიდევ უფრო გააცხოველა და განსაკუთრებული სტიმული მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტმა „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“.

რა გააკეთეს ქიათურის პარტიულმა ორგანიზაციებმა, თითოეულმა კომუნისტმა, ყოველმა მშრომელმა მეათე ხუთწლედის უმთავრესი მოთხოვნის — წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების — შესასრულებლად?

ეს საკითხები მუდამ იყო ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების საგანი, მაგრამ ამ მხრივ მუშაობა უფრო გეგმაზომიერი, გამიზნული და, რაც მთავარია, ნაყოფიერი გახდა მას შემდეგ, რაც ამ ორიოდე წლის წინათ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით შეიქმნა წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის მართვის საქალაქო კომისია 11 კაცის შემადგენლობით. ანალოგიური კომისიები შეიქმნა ქალაქის სამრეწველო საწარმოებში, სამშენებლო ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ მეურნეობებშიც.

ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავებისა და დანერგვისათვის, მრეწველობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით საქალაქო კომისიაში შეიქმნა დარგობრივი სექციები.

ნებისმიერი საქმიანობის ეფექტიანობის საუკეთესო განმსაზღვრელი, მოგეხსენებათ, მისი საბოლოო შედეგია. რით დავიწყეთ მუშაობა და რა შედეგები მოვიპოვეთ დღემდე?

პარტიის საქალაქო კომიტეტის მთავარ ამოცანად პირველ ეტაპზე მიჩნეულ იქნა სამრეწველო საწარმოებში ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავებისა და დანერგვის სამუშაოთა საერთო კოორდინაცია. ამ მიზნით საქალაქო კომისიამ მოაწყო გაფართოებული თათბირ-სემინარი. სამრეწველო საწარმოთა პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მიეცათ რეკომენდაციები და კონკრეტული დავალებები, თუ რით და როგორ დაიწყოთ თავიანთი ორგანიზაციებში ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის სამუშაოები.

გამოცდილების გაზიარების მიზნით საქალაქო კომისიის წევრები, პარტიული აქტივისტები მიწვეულნი იყვნენ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში, სადაც დაწერილებით გაეცნენ ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის საქმეში დაგროვილ გამოცდილებას. ორჯერ მოეწყო ხარისხის მართვის გაუმჯობესების საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ხოლო შემდეგ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ სპეციალურად იმსჯელა სამრეწველო საწარმოებში ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვისა და რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

საქალაქო კომისიისა და სექციების სხდომები იმართება კვარტალში ერთხელ, რომლებზეც პერიოდულად განვიხილავთ საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელობის და ხარისხის მართვის კომისიების ანგარიშებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გაწეული მუშაობის შესახებ. კარგ შედეგებს იძლევა ყოველ 6 თვეში ერთხელ „ხარისხის დღის“ მოწყობის პრაქტიკა. მეტალურგთა კულტურის სასახლეში არის ხარისხის მართვის საქალაქო კაბინეტი, სადაც იმართება სხვადასხვა სამეცნიერო-ტექნიკური ღონისძიებები.

ყოველივე ამან გარკვეული დადებითი ნაყოფიც გამოიღო. სამრეწველო საწარმოებში გაიზარდა სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ასორტიმენტი და საერთო წარმოებაში მისი ხვედრითი წილი. აი ზოგიერთი მონაცემი: თუ 1976 წელს ხარისხის ნიშნით გამოდიოდა მხოლოდ ერთი სახეობის სამრეწველო პროდუქცია და მისი ხვედრითი წილი საერთო წარმოებაში 0,7 პროცენტს შეადგენდა, მომდევნო წელს ასეთი პროდუქციის ხვედრითი წილი საერთო წარმოებაში 1,6 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო 1978 წელს გამოშვებული იქნა 6.640 ათასი მანეთის ხარისხისნიშნიანი პროდუქცია, რომლის ხვედრითი წილი 6,7 პროცენტს შეადგენდა, წარმან კი საპატიო ხუთკუთხედით რვა ასორტიმენტის პროდუქცია გამოდიოდა და მისი ხვედრითი წილი საერთო მოცულობაში 34 პროცენტი იყო.

ეს შედეგები, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ შესაძლებლობათა ზღვარი არ არის. სწორედ ამიტომ პარტიის საქალაქო კომიტეტის, ზემოაღნიშნული კომისიის, პირველადი პარტორგანიზაციების მეცადინეობით ხარისხის პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის მიზნით გატარდა ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა, რომლის შედეგად ყველა სამრეწველო საწარმოში დაწყებულია ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავება და დანერგვა. ეს სისტემა უკვე მოქმედებს ქალაქის პურკომბინატში, ხორცისა და რძის კომბინატში, ხოლო მანგანუმის სამთამადნო კომბინატში, საქკერვალო ფაბრიკაში, დარკვეთის საშენ მასალათა საწარმოო გაერთიანებაში და სხვაგან შემუშავებულია პროექტი და უახლოეს პერიოდში დამთავრდება.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, აქაც გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯებია გადადგმული პროდუქტების წარმოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ადგილებზე შექმნილია ხარისხის მართვის კომისიები, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა. შემუშავებული არ არის და არ მოქმედებს რესპუბლიკური შიდა სამეურნეო სტანდარტები, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხშირად ვხვდებით ნათესების დიდ სიმეჩხერეს, ყველგან არ არის დაცული ნიადაგის დამუშავების, სასუქების შეტანის, ყინვისა და ბუნების სხვა ჭირვეულობისაგან მცენარეთა დაცვის საუკეთესო ვადები...

საქალაქო კომისია, მისი სექციები ზრუნავენ აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის, სახავენ მდგომარეობის გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებს, მაგრამ ადგილებზე ამ საქმის პრაქტიკულ გადაწყვეტაში მთავარი როლი, ცხადია, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომუნისტებმა უნდა შეასრულონ. ამ მხრივ გამოირჩევა ახალი ითხვისის მაღაროთამამმართველოს პარტიული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები. აქაური კომუნისტები სერიოზულად ზრუნავენ პროდუქციის ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. პარტიული კომიტეტის სხდომებზე სისტემატურად მსჯელობენ ამ საკითხებზე, ისმენენ ცალკეული ხელმძღვანელების, კომუნისტების ანგარიშებს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

კომუნისტები არა მარტო აქტიურად მონაწილეობენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, არამედ პირადად იძლევიან წარჩინებული, მაღალხარისხოვანი შრომის მაგალითებს. გვირაბგამყვანმა, კომუნისტმა ; ბაქრაძემ განვლილ ხუთწლედში უწუნოდ გამოუშვა 10 ათასამდე ტონა მანგანუმი, ასევე უწუნოდ იმუშავეს კომუნისტებმა ი. ბარბაქაძემ, ბ. კაპანაძემ, ი. ბირბიჩაძემ, ლ. შუბითიძემ და სხვ.

მათი დამსახურებაც არის, რომ მაღაროთასმმართველოს კოლექტივმა მაღალი ხარისხის კონცენტრატის წარმოების ხუთწლიანი გეგმა 22 ოქტომბრისათვის, ხოლო მთლიანი პროდუქციის დამზადებისა — 25 ოქტომბრისათვის შეასრულა.

ხარისხის მართვის ორგანიზაციაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავებას, რომელიც მოიცავს ხარისხის დაგეგმვას, უზრუნველყოფას და კონტროლს. სწორედ ამ მიმართულებით წარმართავს მუშაობას დარკვეთის საშენ მასალათა საწარმოო გაერთიანების კოლექტივი (გენერალური დირექტორი — ო. კუპატაძე, პარტბიუროს მდივანი — მ. სარალაძე). ამჟამად გაერთიანებაში ხარისხისნიშნიანი პროდუქციის (ქვარცის სილა) ხვედრითი წილი მთლიან პროდუქციაში 79 პროცენტია.

ამ მხრივ კარგად და ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთამმართველოს პარტიული კომიტეტი, საუბნო პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის ბრძოლის საქმეში აქ ფართოდ არის გამოყენებული სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც ჩაბმულია ყველა უბანი, ცეკლა, ბრიგადა, შემუშავებულია შეჯიბრება გამარჯვებულთა მორალური და მატერიალური სტიმულირების ღონისძიებანი, დაწესებულია „საუკეთესო გვირაბგამყვანის“, „საუკეთესო მებიგის“, „საუკეთესო რკინიგზელის“ წოდება, ყოველწლიურად იზრდება კომუნისტური შრომის დამკვრელთა რიცხვი. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება დაედო საფუძვლად იმას, რომ მაღაროთასმმართველოს 141-მა მშრომელმა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის შეასრულა მეათე ხუთწლედის დავალება. სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან კომუნისტები, გვირაბგამყვანები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პ. ჭიტაძე, ძმები ნ. და ა. ცერცვაძეები, ლ. ჩაგელიშვილი, გ. ბანძელაძე და სხვები.

ერთ საგაზეთო წერილში ძნელია დაწვრილებით ილაპარაკო ყველა ღონისძიებაზე, რომლებსაც პარტიის საქალაქო კომიტეტი, პირველადი პარტორგანიზაციები ახორციელებენ წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. თუმცა ამაზე ნათლად საბოლოო შედეგები მეტყველებს. ისინი კი ასეთია:

უკვე მეხუთე წელია ქალაქი ისე მუშაობს, რომ არ ჰყავს ჩამორჩენილი სამრეწველო საწარმოები. გარკვეული დადებითი შედეგია მიღწეული მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის დარგებში, რის შედეგადაც ქალაქი ჭიათურა შარშან სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისა და ქალაქის დაარსებისა და მანგანუმის მადნის დამუშავების მე-100 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო 1979 წლის შედეგების მიხედვით ზედიზედ მეექვსედ გამოვიდა გამარჯვებული რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მეათე ხუთწლედის გეგმები ჭიათურის მუშათა კლასმა შარშან 20 ივნისისათვის შეასრულა, წლის ბოლომდე კი გეგმის გადამეტებით 50 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია გამოუშვა. წარმოების ზრდის ტემპმა 22,1 პროცენტი შეადგინა.

ყოველივე ეს გვაძლევს გარანტიას ვთქვათ, რომ ჭიათურელი მშრომელები ახალი წარმატებებით ეგებებიან პარტიის XXVI ყრილობას.

ჯ. გურული,
საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის მართვის საქალაქო კომისიის თავმჯდომარე.

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

საკდესისა და ახალი ამგების საკგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

სპერთაშორისო ლიდერების ჭურჭეზე ცხოვრება

19 იანვარი

ვეტერანების მოწოდება

ვარშავა. **თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა კავშირის როლი და ადგილი სახალხო პოლონეთის ახლანდელ რთულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში — ძირითადი თემაა ომის ვეტერანთა თათბირების და შეხვედრებისა, რომლებიც ამჟამად ქვეყანაში მიმდინარეობს. ამ შეხვედრებზე აღნიშნავენ, რომ ომის ვეტერანები სავსებით უპირველ მხარს და იწონებენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ახალი ხელმძღვანელობის პოლიტიკას.**

ქალაქ კელცის ომის ვეტერანებმა ომის 640 ათას ყოფილ მონაწილეს მიმართეს მოწოდებით, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: დღეს, როცა ჩვენი სახელმწიფო რთულ მდგომარეობაშია, მნიშვნელოვნად იზრდება მთელი პატრიოტული ძალების როლი, რომლებიც სოციალისტური პოლონეთის მხარეზე გამოდიან. ამ ძალებს ეკუთვნის ჩვენი ვეტერანთა კავშირიც, რომლებმაც სამშობლოს მოახმარეს მთელი ძალები, თავიანთი ჯარიანი შრომა მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე, წინააღმდეგობის მოძრაობაში, სახალხო ხელისუფლების განმტკიცების პერიოდში.

ჩვენს მეხსიერებაში მტკიცედ არის აღბეჭდილი საერთო მტრის — ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა ხალხთან საბრძოლო ძმობის ტრადიციები. დაე, ვეტერანებმა თავიანთი დისციპლინით და თავდადებული შრომით უჩვენონ ახალგაზრდობას მაგალითი, თუ როგორ უნდა იცხოვროს და იმუშაოს პოლონეთში. ჩვენ მოვუწოდებთ კოლექტივებს გააძლიერონ აქტიურობა საზოგადოებრივ საქმიანობაში, თვითმმართველობის სხვადასხვა რგოლში. ჩვენ მოვუწოდებთ ყველას ეძიოს ყოველდღიური პრობლემების, კეთილსინდისიერი შრომის, წესრიგისა და კეთილგონიერების ოპტიმალური გადაწყვეტის გზები. დაე, წინ მიგვიძღოდეს ლოზუნგი: „სოციალისტურ გარდაქმნებს ფართო გზა! ძირს ანარქია!“

აფშ

ემზადებიან „რასოგრივი ომისათვის“

სულ უფრო ხაშუ ხახიათს იძენს ამერიკის შეერთებულ შტატებში ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის კუ-კლუქს-კლანის მოქმედება. სპეციალიზებულ ბანაკებში რასისტები ინტენსიურად ამზადებენ გასამხედროებულ ქვეგანაყოფებს „რასობრივი ომისათვის“. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელმაც ალაბამის შტატში მდებარე გასაიდუმლოებულ ბანაკში შეაღწია, წერს, რომ იქ სამხედრო ხაკმეს ასწავლიან ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის წევრებს.

ქვეგანაყოფები ძირითადად დაკომპლექტებულია ყოფილი სამხედრო მოსამსახურეებით. მათ ცინიზმსა და კაცთმოძულეობას ხაზღვარი არა აქვს. „მე არც კი დავფიქრდები, ისე ვესროდ ზანგებს“, — განაცხადა რასისტთა ბანაკის ერთ-ერთმა წევრმა ვინმე ტონიმ. ეს აშკარად მოწმობს კუ-კლუქს-კლანელთა გასამხედროებული ქვეგანაყოფების წევრთა განწყობილებას.

სურათზე: *ერთ-ერთი რასისტი, რომელიც მომზადებას გადის ალაბამის შტატის ბანაკში.*

აპ-საკდესის ფოტო.

განიარაღება, დროის მოთხოვნაა!

ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯ. სომერვილმა ღია ბარათი გაუგზავნა ამერიკის ახალ პრეზიდენტს რ. რეიგანს, რომელშიც გადაჭრით მოითხოვს რაც შეიძლება მალე მიაღწიონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას ბირთვული ომის თავიდან აცილების საკითხში.

ცხადია, ახლანდელ ვითარებაში, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველმხრივ აღვივებენ ანტისაბჭოურ კამპანიას და საომარ ფსიქოზს ბუჩუჭაზიული პროპაგანდის მიერ შეთითხნილი მითური „საბჭოთა სამხედრო საფრთხის“ გამო, სომერვილის გამოსვლა გარკვეულ მოქალაქეობრივ მამაცობად უნდა ჩაითვალოს.

დარწმუნებული ვართ, ამერიკელი პროფესორის ეს ნაბიჯი ნაკარნახევია იმის ღრმა შეგნებით, თუ რა რეალურ და არა მოჩვენებითს საფრთხეს უქმნის თვით შეერთებულ შტატებს მილიტარისტული იღუნიები სსრ კავშირთან სამხედრო უპირატესობის მიღწევის მიზანშეწონილობის და „ამერიკის ეროვნული ინტერესების დასაცავად“ ატომური ომის შესაძლებლობის თაობაზე.

ამ საშიში მილიტარისტული დოქტრინების გასამართლებლად შეერთებულ შტატებში ფართოდ ავრცელებენ ვერსიას „ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული ჩამორჩენისა“ და „ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ძალების მზარდი უთანასწორობის“ თაობაზე. ანტისაბჭოური პროპაგანდის ხმაურში შეერთებულმა შტატებმა ხელისუფლების სათავეში კარტერის ადმინისტრაციის ყოფნის პერიოდში პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა, რათა მსოფლიოსათვის თავს მოეხვია გამალებული შეიარაღების ახალი რაუნდი.

ამჟამად, როცა თეთრ სახლში მორიგი „ყარაულის შეცვლა“ ხდება, უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, რომ ოთხი წლის წინათ კარტერი, პრეზიდენტის პოსტისათვის რომ იბრძოდა, ამერიკელებს დაპპირდა, სამხედრო ხარჯებს 5-7 მილიარდი დოლარით შევამცირებო. სინამდვილეში კი 1977 წლიდან 1981 წლამდე პენტაგონის ბიუჯეტი 130,2 მილიარდი დოლარიდან 171,4 მილიარდამდე გაიზარდა, უფრო მეტიც, 1978 წელს ვაშინგტონმა თავის ნატოელ მოკავშირეებს- თავს მოახვია 15-წლიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ყოველწლიურად სამხედრო ხარჯების ზრდას 3 პროცენტით, ხოლო 1979 წელს — გადაწყვეტილება დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების შესახებ. მილიტარისტული ტენდენცია რომ შეენარჩუნებინა, კარტერის ადმინისტრაციამ 1982 საფინანსო წლისათვის შეიმუშავა ახალი სამხედრო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც 196,4 მილიარდ დოლარს ითვალისწინებს, ესე იგი 25 მილიარდით მეტს წლევანდელთან შედარებით.

ცხადია, სამხედრო ძლიერების ასეთი უპრეცედენტო ზრდა ამერიკის მმართველ წრეებს იმისათვის კი არ სჭირდებათ, რომ საბჭოთა კავშირს „დაეწიონ“. უკვე დიდი ხანია, რაც მთელ რიგ მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში აღრმშნულია მიანლობებითი თანაფარდობა, ძალთა პარიტეტი როგორც საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის, ისე ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის, და თუ ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები ზრდის გამალებულ შეიარაღებას, მას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს — მიაღწიოს თავის სამხედრო უპირატესობას.

ამერიკის მმართველი წრეები ახლა ამკარად უარს ამბობენ „შეკავების“ დოქტრინაზე, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინათ საფუძვლად ედო ამერიკის ბირთვულ სტრატეგიას. სწორედ ორმხრივი შეკავება არ აძლევს ხელს ზოგიერთ ამერიკელ „სტრატეგს“ იმიტომ, რომ ორმხრივი შეკავების პირობებში, რომელიც სტრატეგიულ პარიტეტს ემყარება, მხარეთა სტრატეგიული ძალების მთავარ ფუნქციად იქცევა ომის თავიდან აცილება, მისი დაუშვებლობა იმის შიშით, რომ შემტევი მხარე დაისჯება საპასუხო გამანადგურებელი დარტყმით.

თუმცა ფაქტები მოწმობს, რომ თეთრი სახლი დაინტერესებულია არა ომის თავიდან აცილებით, არამედ იმით, რომ შექმნას ილუზიური შესაძლებლობანი — გამოიყენოს შეიარაღებული ძალები, მათ შორის სტრატეგიული, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. გინა ამას არ დასტურებს საძრახისად ცნობილი „კარტერის დოქტრინა“, რომლითაც ამერიკის „საარსებო ინტერესების“ სფეროდ გამოცხადებულია მსოფლიოს უზარმაზარი რაიონება, ამერიკის ნაპირებიდან ათასობით კილომეტრზე რომ მდებარეობს. ამასვე მოწმობს კარტერის მიერ ხელმოწერილი დირექტივა № 59, რომელშიც ჩამოყალიბებულია „ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ბირთვული სტრატეგია“. მისი არსი ის გახლავთ, რომ იგი ძალიერებს პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ წინამძღვრებს ბირთვული იარაღის გამოყენების ზღურბლის გადასალახავად.

ცხადია ისიც, რომ იგი რეალურ დაბრკოლებებს უქმნის ნაყოფიერ მოლაპარაკებას გამალებული შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული იარაღის, შეზღუდვის თაობაზე. და, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ ამერიკის სენატმა დღემდე არ მოახდინა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მეორე ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელსაც ხელი მოაწერეს 1979 წელს ვენაში უმაღლეს დონეზე.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ბოლო ხანს როგითს ამერიკელებს სულ უფრო მეტად მთაგაოზებენ აზრს ბირთვული ომის გარდაუვალობის შესახებ, და რომ მათ, ამერიკელებს, თითქოს არაფერი აქვთ საგანგაშო, ვინაიდან ასეთი ომის არამც თუ გადატანა, არამედ მისი მოგებაც კი შეიძლება.

სკეპტიკოსებს ბეეზინსკი იმით ამშვიდებდა, რომ თითქოს შეიძლებოდეს ბირთვული ომის „შეზღუდვა“, რომ ძირითადად დაარტყამენ არა დასახლებულ პუნქტებს, არამედ ბირთვული იარაღის მატარებელთა განლაგების ადგილებს და რომ ამ შემთხვევაში დაიღუპება ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტი.

ჯერ ერთი, „შეზღუდული“ ბირთვული ომის თეორეტიკოსები მცდარ ვარაუდებს ეყრდნობიან, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შეძლებს თავს მოგვაჩვიოს „ატომური დუელის“ მხოლოდ მისთვის ხელსაყრელი პირობები, ცალმხრივად გამოიყენოს თავისი რაღაც კერძო უპირატესობანი, რომელთა შექმნაზეც თეთრ სახლში ოცნებობენ. მაგრამ განა საქმეში ჩაუხედავი კაცისთვისაც კი დღესავით ნათელი არ არის, რომ არავინ დაემორჩილება ისეთ „წესებს“, რომლებიც მხოლოდ ერთი მხარისათვის არის სასარგებლო?

და, მეორე, ისეთი „წვრილმანიც“ კი, როგორიც 10-პროცენტიანი დანაკარგია, მრავალი მილიონი ამერიკელის დაღუპვას ნიშნავს. გარდა ამისა, ბიკინის ატოლზე ამერიკის ატომური გამოცდების შედეგი ცხადყოფს, რომ რაკეტულ-ბირთვული ომი აღსავსეა არა მარტო მრავალმილიონიანი მსხვერპლის, არამედ ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელი გარემოს მოსპობის საფრთხით.

აშერიკის მილიტარისტულ წრეებში გამოთქვამენ ყოვლად უსუსურ იდეას, რომ გამალებული შეიარაღებით კაპიტალისტურ ამერიკას შეუძლია ძირი გამოუთხაროს სოციალიზმის ეკონომიკურ პოზიციებს, როგორც აშკარად აცხადებს ამერიკის რეაქციული ყოველკვირეული „ეუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“, ასეთი გეზის მომხრეები თვლიან, რომ „რუსები უფრო მეტად დაზარალდებიან სტრატეგიული შეიარაღების ზეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების ჩაფუშვისა და შეუკავებელი გამალებული შეიარაღების შედეგად“.

ყველა ვარაუდი, ცხადია, ქვეშით არის ნაგები. როგორც საბჭოთა ხელმძღვანელებს მრავალჯერ განუცხადებიათ, საბჭოთა კავშირი არავითარ საბრძოლო უპირატესობას არ დაუშვებს. რაც შეეხება ვაშინგტონს, ყოველნაირნობას, რომ კაპიტალისტურ ამერიკას სხვებისაგან განსხვავებით შეუძლია ჭქონდეს ქვეშეხებიც და კარაქიც, საბრძოლო ბუშტია და მეტი არაფერი. საკმარისია გავიხსენოთ ამერიკის აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, იგი ვიეტნამელი ხალხის გამარჯვებით და ამერიკის კაპიტალიზმის ღრმა კრიზისით დამთავრდა, რომელსაც დღემდე ვერ დააღწია თავი.

ამიტომ ათასჯერ მართალია პროფესორი სომერვილი, რომელიც ახალარჩეულ პრეზიდენტს და ყველა თავის თანამემამულეს მოუწოდებს კონსტრუქციული ბასუხი გასცენ მრავალრიცხოვან საბჭოთა ინიციატივებს, რომლებიც განმსჭვალულია ბირთვული კონფრონტაციის დონის შემცირებისა და ბირთვული ომის საფრთხის აღმოფხვრის სულისკვეთებით. ამ გზაზე მნიშვნელოვანი ეტაპები იქნებოდა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მეორე ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე რატიფიკაცია და დადებითი გამოხმაურება საბჭოთა კავშირის მიერ 1980 წლის წამოყენებულ წინადადებაზე — დაიდოს ხელშეკრულება, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ პირველები არ გამოიყენებენ არც ბირთვულ, არც ჩვეულებრივ იარაღს, რომელზეც აქამდე არაკეთილი რეაგირება არ მოუხდენია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს და რომელიც ჯერ კიდევ არ განუხილავს ამერიკის კონგრესს. (საკდესი).

ირანის ამგების გამო

ხელი მოაწერეს დოკუმენტს

ალჟირი. **ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა ალჟირში ხელი მოაწერეს დოკუმენტს ირანში ამერიკის საელჩოს თანამშრომელთა განთავისუფლების შესახებ, რომლებიც დაკავებული იყვნენ 1979 წლის 4 ნოემბრიდან. ირანის მხარემ ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს თეირანში. მიღწეული მორიგება დიპლომატების განთავისუფლებას უკავშირებს ირანისათვის მისი ავუარების ნაწილის დაბრუნებას, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაყინეს პრეზიდენტ ჯ. კარტერის გადაწყვეტილებით.**

როგორც ცნობილია, ვაშინგტონის ადმინისტრაცია მანამდე შეეცადა ძალით გაენთავისუფლებინა ამერიკის პერსონალი. შარშან აპრილში ამ მიზნით მოეწყო „კომანდოსების“ შეჭრა ირანის ტერიტორიაზე, რაც მარცხით დამთავრდა.

ამასთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატები ირანს ემუქრებოდა უფრო ფართო სამხედრო აქციებით, რის დროსაც გამოიყენებდა სპარსეთის ყურის რაიონში თავმოყრილ დიდ საზღვაოსამხედრო არმადას.

მაგრამ ამ ძალდატანებამ ვაშინგტონს სასურველი შედეგი არ მოუტანა, და საბოლოოდ ჯ. კარტერის ადმინისტრაცია იძულებული გახდა დათანხმებოდა ირანთან მოლაპარაკებას ამერიკის საელჩოს პერსონალის განთავისუფლების პირობების თაობაზე.

ბარბაროსული აქცია

ბეირუთი. **ისრაელმა აგრესორებმა არტილერიის მასირებული ცეცხლი დაუშინეს სამხრეთ ლიბანის აიშიის, ჭფარ-ტინიტის, ბურგაზისა და დალაფის დასახლებულ პუნქტებს.** ამ მორიგი ბარბაროსული აქციის შედეგად არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. დაინგრა ბევრი საცხოვრებელი სახლი და მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიადგა სასოფლო-სამეურნეო ნათესებსა და გლეხთა ხეხილის ბაღებს.

ამავე დროს ისრაელი განაგრძობს სამხრეთ ლიბანში თავისი ჯარების გადაჯგუფებასა და გაძლიერებას. დამშაქის დასახლებული პუნქტის რაიონში მან გადაიყვანა ტანკები, ჯავშანტრანსპორტერები, სხვა სბრძოლო ტექნიკა და ტყვია-წამალი.

აქ მიღებული ცნობების მიხედვით, სერიოზული უთანხმოებაა ისრაელ ოკუპანტებსა და მათ მარიონეტს — ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ლიბანის დაცვის არმიის“ სარდალს ჰადად მერის. ისრაელის სარდლობამ გამოსცა ბრძანება, რომლის შესაბამისად მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული ჰადადის უფლებამოსილება სეპარატისტების საკონტროლო ანკლავში. სეპარატისტთა მეთაურს, რომელიც შეეცადა „გაერკვია ურთიერთობა“ ამ საკითხზე თავის მოკავშირეებთან, სასტიკად სცემეს.

ფოტოობიექტივი ამხილებს

ახალი დანაშაული

ლონდონი. **ჩრდილოეთ ირლანდიაში ახალი დანაშაული ჩაიდინეს:** ტერორისტებმა დაჭრეს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ბრიტანეთის პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ბერნადეტა მაკალისკი (დევლინი) და მისი ქმარი. ბ. მაკალისკი აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩრდილოეთ ირლანდიის მცხოვრებთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლაში.

ბოლოდ ფაქტები

ტელეტაიპის ლენტიდან

● **დელი.** **ინდაოეთლობით ჩაბარდა ხელისუფლებს ეგრეთ წოდებული ნაგას ეროვნული სახეობის წევრი ლანგპო კონიაკი. იგი დიდხანს შედიოდა ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაგალენდის შტატში მოქმედი ამ არალეგალური ექსტრემისტული დაჯგუფების ხელმძღვანელობაში.**

● **ტოკიო, იაპონური გაზეთის „ასაპის“ პეკინელი კორესპონდენტი იმოწმებს ჩინეთის მთავრობის წრეებს, და. იუწყება, რომ ბოლო დროს ჩინეთში გახშირდა მეზობრივი საბაფიცავო გამოსვლები. გაფიცულნი მოითხოვენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ხელფასის მომატებას.**

საგაფიცავო მოძრაობის ზრდა, რომლის შესახებაც არაფერს ამბობს ჩინეთის ოფიციალური პროპაგანდა, აღნიშნავს გაზეთი, ფართო ხასიათს იძენს, და ეს დიდ შეშფოთებას იწვევს პეკინის ხელმძღვანელობაში.

● **ილსამაბადი.** **პაკისტანის ჟურნალისტთა კავშირმა მოუწოდა ყველა პაკისტანელ ჟურნალისტს მოაწყონ 8 თებერვალს საპროტესტო დღე ბეჭდვითი სიტყვის მიმართ სამხედროთა ცენზურის წინააღმდეგ. მიღებულ იქნა აგრეთვე რეზოლუციები, რომლებზეც მოითხოვენ გაათავისუფლონ დაპატიმრებული ჟურნალისტები, აღადგინონ დემოკრატიული თავისუფლებანი, მათ შორის ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ქვეყანაში.**

ამბავი რა ამბავია

უჩვეულო „ამნისტია“

თავისებური „ამნისტია“ გამოაცხადა კანადის ქალაქ კალგარის ერთ-ერთი ბიბლიოთეკის ადმინისტრაციამ. დავალიანების მქონე მკითხველებს აუწყეს, რომ, თუ ერთი თვის განმავლობაში დაიბრუნებდნენ წიგნებს ფულად ჯარიმას, რომელიც დაწესებულია ლიტერატურის დაგვიანებისათვის. ღონისძიების მეტი ეფექტიანობის მიზნით ბიბლიოთეკამ პრემიაც კი დაუწესა იმ მკითხველს, რომელსაც ყველაზე მეტი ხნის წინათ წაღებული წიგნი აღმოაჩნდებოდა. ადეამ გასაოცარი ნაყოფი გამოიღო. მოკლე დროში ბიბლიოთეკას 5 ათასი წიგნი დ

XXVI სკკპ ყრილობის შესანახად

აღმშენებლობის პროგრამა

გამოხმაურება • წინადადება • მოსაზრება

ვანვითარებთ პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“

ახალი მიჯნები

სამხრეთ ოსეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გამოსული საფუძვლიანი სჯა-ბაასი ამის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან ავტონომიური ოლქის კომუნისტები, ყველა მშრომელი სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის, კრებაზე ილაპარაკეს აგრეთვე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მიღწევებზე, არსებულ ნაკლოვანებებსა და მომავლის ამოცანებზე.

მოხსენება გააკეთა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ე. ურჯუმელაშვილმა.

როგორც მოხსენებაში, ისე გამოსვლებში აღინიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის შუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის თავდადებული შრომის მეოხებით ყველა პირობაა შექმნილი ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, ოლქის მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, სამრეწველო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა შესრულდა 30 დეკემბრისათვის, ხოლო ხუთწლიანი გეგმა — 1980 წლის 22 დეკემბრისათვის. მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 10,5 პროცენტით. მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დამლევისათვის ხარისხის სახელმწიფო ნიშნით გამოშვებულია 73 სახეობის სამრეწველო პროდუქცია, რაც 15-ჯერ აღემატება 1975 წლის მაჩვენებელს.

დიდი მასშტაბით მიმდინარეობდა კაპიტალური მშენებლობა. ამავე პერიოდში თვალსაჩინო წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობაში, მნიშვნელოვნად განმტკიცდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შესრულებულია სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ხილის, შაქრის ჭარხლის, რძის, მატყლის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმები.

ამავე დროს კრებაზე აღინიშნა, რომ კაპიტალური მშენებლობა ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის კვლავ ყველაზე ჩამორჩენილი დარგია. მთლიანად არ აღმოფხვრილა შეჯიბრების ორგანიზაციაში ფორმალიზმის ელემენტები. ორატორებმა დასახეს ნაკლოვანებათა დაძლევის გზები.

კრებაზე გამოთქვეს რწმენა, რომ სამხრეთ ოსეთის მშრომელები ახალი მრთმოი წარმატებებით აღინიშნავენ სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს.

კრების მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა. (საქინფორმი).

●●

ფორმულირების მეტი კონკრეტულობისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი პარტიის XXVI ყრილობისათვის უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელშიც დასახულია კომუნისტური მშენებლობის ახალი მიჯნები. ხუთწლედის წარმატებით შესრულება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომ ზრდას და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

მაქვს ზოგიერთი მოსაზრება, რომელიც პროექტის ცალკეული პუნქტის ფორმულირებას ეხება. მაგალითად, მეშვიდე თავის პირველი აბზაცი ასეა ჩამოყალიბებული: „კაპიტალური მშენებლობის ძირითადი ამოცანაა ქვეყნის საწარმოო პოტენციალის შემდგომი ზრდა ახალ ტექნიკურ საფუძველზე, აგრეთვე არასაწარმოო სფეროს განვითარება“.

ეს პუნქტი უფრო სრულყოფილი იქნება, თუ სიტყვების „არასაწარმოო სფეროს“ შემდეგ დამატება: — „განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა დარგების განვითარება“.

ა. კირჩხელა,
ქობულეთის რაიონის მუშაჯერტების ჩაის ფაბრიკის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ჩვენი აზრით

ქარხანა ჩემი მეორე ოჯახია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი პარტიის XXVI ყრილობისათვის საბჭოთა ადამიანის ბედნიერებაზე ზრუნვით არის გაჟღენთილი. ჩემი აზრით, ეს ფრაზა განსაკუთრებით მიიპყრო იმ საკითხმა, რომელიც პენსიონერების კეთილგანწყობას და მათი შესაძლებლობის გამოყენებას ეხება.

ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ პროექტში ხაზგასმით აღინიშნება, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა სრულყონ შრომისუნარიან პენსიონერთა მატერიალური წახალისების ფორმები. ამას იმიტომ ვამბობ, რომ პენსიაში გასვლის შემდეგ მე კვლავ ქარხანას მივუფრე, ის არის ჩემი მეორე ოჯახი და იქით მიმიხარია.

მ. დვალიშვილი,
ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის მუშა.

სოფლის მშრომელთა კეთილდღეობისათვის

„სოფლის მეურნეობაში მივაღწიოთ ყველა დარგის დინამიკურ განვითარებას და ეფექტიანობის ამაღლებას, პროდუქციის წარმოების ზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას, განვამტკიცოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების „ინტენსიფიკაციის კურსი“

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან).

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გამუდმებული ზრუნვა სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი განვითარებისათვის დღევანდელი ცხოვრების კანონად არის ქცეული. პარტია და მთავრობა სოფლის მშრომელებს ნიაღაღებენ არა მარტო მოქმედების ნათელი, კონკრეტული პროგრამით, არამედ მატერიალურადაც უზრუნველყოფენ ამ პროგრამის ხორცშესხმას. მარტო მეათე ხუთწლედში ქვეყანაში სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კაპიტალურმა დაბანდებებმა სამუშაოთა მთელი კომპლექსის მიხედვით 170 მილიარდ მანეთს გადაამტა. ამავე პერიოდში სოფელმა მიიღო 1,8 მილიონი ტრაქტორი, 1,3 მილიონზე მეტი სატვირთო ავტომობილი, დაახლოებით 540 ათასი მარცვლეულის ასაღები კომბაინი, 400 მილიონ ტონა მინერალური სასუქები და სხვ. ეს დახმარება, რომელსაც ნაყოფიერად იყენებენ სოფლის მშრომელები, იფიქტიან უკუგებას გვაძლევს, რაც თვალნათლივ ჩანს მეათე ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის მიერ მიღწეული შედეგებით.

მეათე ხუთწლედში გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეულის, ჩაის, ციტრუსების, ხილის, ყურძნის, ბოსტნეულის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის, ხორცისა და რძის დამზადების დავალებანი. მეთერთმეტე ხუთწლედში, რომლის ძირითადი მიმართულებების პროექტს ჩვენი ხალხი ასე გულმოდგინედ განიხილავს და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი გადიდების კონკრეტულ გზებსა და საშუალებებს ეძებს, უფრო მეტი პროდუქტები დამზადდება.

პარტიისა და მთავრობის სოფლის მეურნეობაზე განუხრელი ზრუნვის კიდევ ერთი ახალი გამოხატულებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი დადგენილება „სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება-დამზადების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების გაუმჯობესების შესახებ“, რომლის მნიშვნელობა განუზომლად დიდია საბჭოთა სოფლის წინაშე მეთერთმეტე ხუთწლედით დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის საქმეში. ეს დადგენილება კიდევ უფრო დემოკრატიულ ხდის სოფლის მეურნეობის მართვას, ავითარებს აღგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ინიციატივასა და შემოქმედებითს საწყისებს, მეურნეობებს უზრუნველყოფს საჭირო სახსრებითა და ტექნიკით და ყველა ამ ღონისძიებას უქვემდებარებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვან საქმეს. ამ დადგენილების ლაიტმოტივი ნათელია: **უნდა მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის თვისებრივად ახალ, უფრო მაღალ დონეს და საბოლოო ანგარიშით — პარტიის მიერ შემუშავებული სასურსათო პროგრამის მთლიანად განხორციელებას.**

გეგმა ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო კანონია და სავალდებულოა შესასრულებლად. გეგმიანობა უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის სოფლის მეურნეობის განუხრელ განვითარებას. ამიტომ ცხოვრების მოთხოვნათა ზრდის შესაბამისად ხდება დაგეგმვის სრულყოფა, რომელიც მთელი რიგი საკითხების ახლებურად გადაწყვეტას მოითხოვს. სწორედ სოფლის მეურნეობის დაგეგმვის შემდგომი სრულყოფით არის ნაკარნახევი ამ დადგენილების მიღებაც, რომელშიც მთელი რიგი სიახლეებია.

დადგენილება უპირველესად განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო მართვის ყველა დონეზე საგეგმო მუშაობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს, რომლებიც გულისხმობს: **საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და განვითარების ინტენსიური ფაქტორების როლის გაძლიერებით; სოფლის მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების, პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის მოცულობის მისადაგებას არსებულ და გამოსაყოფ მატერიალურ-ტექნიკურ და საფინანსო რესურსებთან, ძირითად საწარმოო ფონდებსა და კაპიტალდაბანდების მოცულობასთან; სოფლის მეურნეობის სტაბილური, პროპორციული და შეწონასწორებული განვითარებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური რეზერვების შექმნას;** სოფლის მეურნეობის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის სწორ შეხამებას საწარმოთა სამეურნეო დამოკიდებულების შემდგომ განვითარებასთან; მეურნეობებისადმი წვრილმანი მეურნეობის უგულებელყოფას, **პროდუქციის წარმოების ზრდისათვის სოფლის ყოველი მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლებას, საბოლოო შედეგებით მათს დაინტერესებას;** ხუთწლედისათვის (წლების მიხედვით) სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ერთიანი სახელმწიფო გეგმების დაწესებას მეურნეობებსადმი ამ საწარმოებიდან ... ...

ლაბორატორიიდან ინსტიტუტამდე

ᲝᲪᲘ წლის წინათ, 1960 წლის ბოლოს, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო დაწესებულებათა სისტემაში შეიქმნა. ექსპერიმენტული თერაპიის ლაბორატორია, რომელიც მალე ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტად გადაკეთდა. თავისი არსებობის 20 წლის მანძილზე ინსტიტუტის მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა ნაყოფიერი მუშაობა გასწია მედიცინის მეცნიერების შემდგომი წინსვლისა და ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

დღეს ინსტიტუტი თერაპიის დარგის ერთადერთი მრავალპროფილიანი სამეცნიერო დაწესებულებაა საბჭოთა კავშირში. იგი რესპუბლიკის თერაპიული ცენტრია, რომლის სტრუქტურაში 27 სამეცნიერო განყოფილება და ლაბორატორია შედის. ინსტიტუტში 700-ზე მეტი თანამშრომელია, მათ შორის 200 მეცნიერი თანამშრომელი, 14 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და 50 მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტს აქვს 6-სართულიანი ლაბორატორიული და 4-სართულიანი ექსპერიმენტული კორპუსები. ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა 8-სართულიანი კლინიკური კორპუსი, რომელშიც 300-საწოლიანი მრავალპროფილიანი განყოფილებებია მოთავსებული. თერაპიის ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილია რესპუბლიკის თერაპიული, გერიატრია-გერონტოლოგიის და რევმატოლოგიის სამეცნიერო-მეთოდიკური ცენტრები.

ინსტიტუტში მუშაობენ 5 ძირითადი პრობლემა: ათეროსკლეროზი და გულის იშემიური დაავადება, სასუნთქი ორგანოების არასპეციფიკური დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ორგანოთა პათოლოგია, გერონტოლოგია და გერიატრია, რევმატოლოგია და ართროლოგია. გარდა ამისა, ინსტიტუტი ამუშავებს ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანის კვების და სამედიცინო გენეტიკის პრობლემებს. საყოველთაოდ არის აღიარებული ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და რეკომენდაციები, რომლებიც გულის კუნთის მწვავე ინფარქტის დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროგნოზირების, ფილტვის ქრონიკული ანთების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის, ღვიძლის ქრონიკული ანთების, ციროზის, წყლულოვანი დაავადების გავრცელების შესწავლის, კლინიკისა და მკურნალობის საკითხებს ეხება.

საქართველოში პირველად 1966 წელს ჩვენს ინსტიტუტში შეიქმნა ინფარქტის რესპუბლიკური ცენტრი, რომელიც ერთ-ერთი პირველთაგანი იყო მონიტორული დაკვირვების დანადგარებით და ინტენსიური მეთვალყურეობის პალატებით მთელ საბჭოთა კავშირში. ამ ხნის განმავლობაში ინფარქტის ცენტრში მკურნალობა ჩაუტარდა 4000-მდე ავადმყოფს. მკურნალობის ეფექტიანი მეთოდების დანერგვამ და მწვავე ინფარქტის ეტაპობრივი მკურნალობის ორგანიზაციამ ინსტიტუტის სტაციონარში სიკვდილიანობის პროცენტი 45-48-დან 12-14 პროცენტამდე შეამცირა. იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რეაბილიტაციური მეთოდების კლინიკაში დანერგვას, რის შედეგადაც ინფარქტგადატანილ ავადმყოფთა 80 პროცენტი თავის ჩვეულებრივ სამუშაოს დაუბრუნდა.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ინსტიტუტის გერონტოლოგიის, გერიატრიის, ენდოკრინოლოგიის, კლინიკური იმუნოლოგიის, მორფოლოგიის, საინჟინრო და სამედიცინო ტექნიკის განყოფილებები, რომლებიც დამოუკიდებელ პრობლემებზე მუშაობას გარდა, მონაწილეობენ კლინიკური ხასიათის პრობლემების კომპლექსურ დამუშავებაში.

თერაპიის ინსტიტუტის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ორგანიზაციულ-მეთოდიკურ და პრაქტიკულ მუშაობას. ინსტიტუტში შექმნილი თერაპიული ცენტრი რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებათა სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის კოორდინაციას ახორციელებს.

თერაპიის ინსტიტუტს მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტი აქვს დამყარებული საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის სამედიცინო სამეცნიერო ცენტრებთან. 15 ქვეყნის წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით სხვადასხვა დროს ინსტიტუტმა 8 საერთაშორისო სიმპოზიუმი, კონფერენცია და სესია გამართა.

ამას წინათ თბილისში თერაპიის ინსტიტუტში გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელიც სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას მიეძღვნა. სესიამ შეაჯამა ინსტიტუტის მიერ ოცი წლის განმავლობაში გაწეული მეცნიერული მუშაობის შედეგები. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების წამყვანი მეცნიერები. სამეცნიერო სესიის მუშაობის შედეგებმა საბჭოთა და უცხოელი გამოჩენილი მეცნიერების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

სპეციალიზებული კარდიოლოგიური სამსახური რეგლამენტირებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „სახალხო ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიება თა შესახებ“. ეს დადგენილება მიღებულია ლ. ი. ბრეჟნევის პირადი ინიციატივით და ითვალისწინებს ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებას. მათ შორის უმთავრესია: მატერიალური ბაზის შექმნა, დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების შემუშავება და დანერგვა კლინიკურ პრაქტიკაში, სათანადო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, კადრების მომზადება, სანიტარიული რეაბილიტაციის საკითხები და სხვ. 1985 წლისათვის ჩვენს ქვეყანაში ამოქმედდება 73 კარდიოლოგიური დისპანსერი, საავადმყოფოებში შეიქმნება 578 კარდიოლოგიური განყოფილება, 3.648 კარდიოლოგიური კაბინეტი, უნდა ჩამოყალიბდეს სასწრაფო დახმარების 6.578 სპეციალიზირებული ბრიგადა.

ამ მიმართულებით ბევრი რამ უკვე გაკეთდა. პირველყოვლისა, კარდიოლოგიური სამსახური გამოიყო რევმატოლოგიას, შედგენილია კარდიოლოგიური სამსახურის პრინციპული სქემა, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეიქმნა კარდიოლოგიის სამმართველო, საკავშირო სამეცნიერო კარდიოლოგიური ცენტრი გადაიქცა სამეცნიერო-მეთოდიკურ ცენტრად.

ამის კვალობაზე, რაღა თქმა უნდა, გარეგანქმნება და გაუმჯობესდება ჩვენი ინსტიტუტის მუშაობაც, იგი ჯანმრთელობის დაცვის უფრო მძლავრ, მობილურ და საიმედო კერად გადაიქცევა.

პროფესორი

ᲘᲠ. ᲔᲣᲛᲒᲣᲠᲘᲫᲔ,

თერაპიის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲙᲔᲠᲐ

ᲩᲕᲔᲜᲡ მეტად ჩქარ, უმაგალითო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, როდესაც ადამიანი ლამის ჩაიფლას მოზღვავებულ ნაირგვარ ინფორმაციაში, დიდი მნიშვნელობა აქვს თხზულებებს, რომლებშიც პოპულარულად, ყველასათვის ხელმისაწვდომად და მიმზიდველად არის შოთხრობილი რომელიმე დიდი მეცნიერული აღმოჩენის შესახებ. თუ ასეთი თხზულების ავტორი თვით ამ აღმოჩენის ავტორიც არის, ეს მკითხველისთვის ნამდვილი ბედნიერებაა და ასეთი ნაწარმოებისადმი ინტერესი განუზომლად მატულობს. ამგვარი თხზულების კლასიკური მაგალითია გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერის ჯეიმს უოტსონის წიგნი „ორმაგი სპირალი“, რომელიც პირველად 1968 წელს გამოვიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამ წიგნს მაშინვე უდიდესი წარმატება ხვდა წილად და სწრაფად ითარგმნა მრავალ ენაზე, ტრიუმფით მოიარა მთელი მსოფლიო. აკადემიკოს ვ. ინგელგარტის აზრით ეს წიგნი თავისი პოპულარობითა და მკითხველთა მოთხოვნილებით გამოსვლისთანვე აღმოჩნდა აგატი კრისტისა და ჟორჟ სიმენონის უკანასკნელი წიგნების გვერდით.

დიდად სასიხარულოა, რომ „ორმაგი სპირალით“, რომელიც უდაოდ იმსახურებს შედეგრის ეპითეტს, გამდიდრდა ქართველი მკითხველის წიგნის თაროც. წიგნი ინგლისურიდან თარგმნა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა არნ. გეგეჭკორმა.

ამ წიგნში მოთხრობილია ბუნების ერთ-ერთი საოცარი ქმნილების — ცოცხალ არსებათათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შენახვისა და შთამომავლობაში გადაცემის გამაპირობებელი ნივთიერების—დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას ფიზიკურ-ქიმიური ბუნების გარკვევის ისტორიაზე. წიგნის ავტორი ამ ისტორიის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა და ამ მიღწევისათვის, რომელიც XX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს აღმოჩენად ითვლება ბიოლოგიაში, მან ნობელიელ ფრ. კრიკთან და მ. უილკინსთან ერთად ნობელის პრემია მიიღო. რაშია ამ აღმოჩენის ესოდენ დიდი მნიშვნელობა?

ორგანიზმთა მიერ თავის შთამომავლობაში ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემისა და ამ ნიშან-თვისებათა ცვალებადობის საკითხი მრავალი საუკუნის განმავლობაში იდუმალებით იყო მოცული. ბევრი გამოჩენილი მეცნიერის სწავლული და მოაზროვნე ცდილა ჩაწვდომოდა მის დედაარსს, დიდი შრომაც დახარჯულა, რათა ახსნილიყო ცოცხალი ბუნების ეს საოცარი ფენომენი. მაგალითად, ოდესმ არის, რომ კორდღელი ყოველთვის შობს კორდღელს, მგელი — მგელს, ხორბლის მარცვლისგან ხორბალი, მუხის რკოდან — მუხის მცენარე და ა. შ. განა საოცარი არ არის, რომ ცოსფერთვალება დედ-მამა შავთვალა შვილს არ უნდა ელოდნენ, მაშინ, როდესაც შავგრემან მშობლებს შეიძლება ეყოლოთ ქერა ბავშვი? რატომ არის, რომ ზოგჯერ ბავშვი შუაში გაჭრილი ვაშლივითა ჰგავს ბებიას ან პაპას?

გამოუთვლიათ, რომ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში მემკვიდრეობისა და ცვალებადობის შესახებ 262 სხვადასხვა თეორია არსებობდა!

ადამიანმა ძალიან დიდხანს არ იცოდა ამ მოვლენის დედაარსი და არც შეეძლო მისი ახსნა, თუმცა ორგანიზმთა მიერ ნიშან-თვისებების შთამომავლობაში მემკვიდრეობით გადაცემის უნარს იყენებდა თავისი ინტერესებისათვის ისევე, როგორც იყენებდა ცეცხლს, მაგრამ არ იცოდა წვის დედაარსი.

ორგანიზმის ცალკეულ ნიშან-თვისებათა გამაპირობებელი მემკვიდრული ფაქტორები — გენები მოთავსებულია უჯრედის ბირთვში, ქრომოსომებში. 1944 წელს სრულიად სარწმუნოდ იქნა ნაჩვენები და დადასტურებული, რომ მემკვიდრეობის ქიმიური სუბსტრატია დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ), რომელიც ქრომოსომების მთავარი შემადგენელი ნაწილია და როგორც ქიმიური ნაერთი აღმოჩენილი იყო ჯერ კიდევ 1868 წელს (იგი ადმოაჩინა ახალგაზრდა შვეიცარიელმა ექიმმა ფ. მიშერმა ჩირქის უჯრედებში), მაგრამ მისი ფიზიკურ-ქიმიური ბუნება უცნობი რჩებოდა. სწორედ ამისი ამოხსნა და დადგენა შეძლეს ჯ. უოტსონმა და ფრ. კრიკმა 1953 წელს.

დნმ-ს სტრუქტურის დადგენამ შესაძლებელი გახადა დაწყებულიყო ცილების ბიოსინთეზის ნატიფი მოლეკულური მექანიზმების კვლევა, რაც საკმაოდ სწრაფად წარმატებით დაგვირგვინდა: უკვე 60-იანი წლების ბოლოსათვის ზუსტად იყო გაშიფრული გენეტიკური კოდი, სახელდობრ, როგორ არის ჩაწერილი დნმ-ში მოცემული ორგანიზმის მემკვიდრული ინფორმაცია და როგორ განპირობებს დნმ ნაირგვარი ცილების სინთეზს.

70-იანი წლების დასაწყისიდან დნმ-ის მოლეკულასთან მანიპულირება ჩვეულებრივად იყოფილირულ დონეზე ავიდა: მოხერხდა გენის ქიმიური და ბიოლოგიური სინთეზი, ხოლო უკანასკნელ წლებში წარმატებით ვითარდება უახლესი დარგი — გენური ინჟინერია, რომელიც გულისხმობს მემკვიდრული ერთეულების ხელოვნურ გადატანას უჯრედში, სადაც ეს გენი ბუნებრივად არ არის. დნმ-ს ბუნებისა და ბიოლოგიური ფუნქციონირების მოლეკულური მექანიზმების გარკვევამ დიდი პერსპექტივები დასახა სამედიცინო თვალსაზრისითაც: მოხერხდა ბევრი დაავადების, მათ შორის ავთვისებიანი ზრდის წინაადმდეგ ეფექტური ღონისძიებების შემუშავება.

ჯ. უოტსონი თავის წიგნში, რომელსაც ნიჭიერი ბელეტრისტის ხელიც ატყვია, წარმტაცად გვიამბობს თავისი უდიდესი აღმოჩენის ისტორიას, იმ კოლექტივის საინტერესო ცხოვრებას, რომელშიც მას მუშაობა უხდებოდა. ამათან წიგნი დაწერილია უაღრესად გულწრფელად, იმდენად გულახდილად, რომ გამოჩენილ ფრანგ მეცნიერს ს. ლეოვს უთქვამს: ჯ. უოტსონმა „საკუთარ თავზე ჩაიტარა სასამართლო-სამედიცინო გაკვეთაო“.

წიგნის მთარგმნელმა და გამოცემლობა „განათლებამ“ უეჭველად დიდად სასარგებლო საქმე გაკეთეს მკითხველისათვის ამ წიგნის მშობლიურ ენაზე მიწოდებით. დარწმუნებული ვართ, რომ მას დიდი ინტერესით გაეცნობიან არა მარტო ბიოლოგები და მედიკოსები, არამედ ფართო მკითხველიც.

Დ. ᲯᲝᲯᲮᲐᲫᲔ,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

„ᲝᲠᲛᲐᲒᲘ ᲡᲐᲠᲘᲠᲐᲚᲘ“ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲙᲔᲠᲐ

ᲓᲠᲝ, ᲐᲛᲮᲔᲜᲘ, ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

ᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲑᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). ქალაქის მაგისტრალურ ქუჩაზე მდებარე № 58 სასურსათო სავაჭრო ობიექტი დიდი სამამულო ომის ვეტერანების მაღაზიად გადაკეთდა. იგი ქალაქში მცხოვრებ ორასამდე ინვალიდს ემსახურება.

მაღაზია რეგულარულად მარაგდება სხვადასხვაგვარი სურსათით. მისი მომსახურე პერსონალი შეკვეთას ტელეფონითაც იღებს. ახლო მომავალში სამამულო ომის მონაწილეებისათვის ქალაქის ცენტრალურ უნივერმაღში გაიხსნება სამრეწველო საქონლის სექცია.

ᲓᲐᲢᲝᲕᲔ ᲨᲣᲥᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲓᲘ...

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲛᲐ ვერ დაიტია პოეზიის მოყვარულნი. სცენიდან ისმის მართალი ხალასი ლექსები, რამდენიმე ათეული წელია მისი პოეტური სტრიქონები მარგალიტებად გაიბნა ხალხში.

ცნობილი ქართველი პოეტის მორის ფოცხიშვილის დაბადების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ეს საღამო მოაწყვეს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციამ, ცეკავშირმა, გამგეობამ და მისმა პარტიაორომ.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს პროფესორებმა ს. ჭილაიამ, ს. ხუციშვილმა, თ. დეკანოსიძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვრებმა მ. და შ. მეტრეველებმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ტ. საყვარელიძემ, მსახიობმა ზ. კვერენჩხილაძემ, პროზაიკოსმა ჟ. ამირეჯიბმა, პოეტებმა ზ. ბოლქვაძემ და ა. ახობაძემ, მთარგმნელმა ზ. გაბუნიამ, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ კ. შავიშვილმა და სხვებმა.

დარბაზს ეფინება მორის ფოცხიშვილის ლექსებზე შექმნილი სიმღერები, რომელთა ავტორები არიან კომპოზიტორები შ. მილორავა, გ. ცაბაძე, ნ. გიგაური.

მორის ფოცხიშვილმა რამდენიმე დაუსტამბავი ლექსი წაიკითხა და დარბაზში მსხდომთ მოკლე სიტყვით მიმართა.

„შენი გზა შენ უნდა გიაროო, წინ უნდა გიძღოდეს მადლი, რაც იყო, ეს იყო, უნდა აიბარგო, დასტოვე შუქი და წადი!“

ამ საღამომ დიდი სიამოვნება მიანიჭა პოეზიის მოყვარულთ.

Ი. ᲯᲐᲭᲕᲐᲫᲔ.

ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐ ᲨᲐᲚᲐᲣᲠᲨᲘ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. („კომუნისტის“ საკ კორ.). კახეთის ლამაზი სოფელი შალაური კიდევ ერთმა კოპწია შენობამ დაამშვენა. მისმა ფირნიშმა — „წიგნები“ არა მარტო აქაური მშრომელები, რაიონული ცენტრის და ახლომდებარე სოფლების წიგნის მოყვარულებიც მიიზიდა.

თელავის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ზ. წოკლაური ჭრის ლენტს და წიგნების მაღაზიაში პირველებს უთმობს გზას შალაურის საშუალო სკოლის მოსწავლეებს.

შალაურელ მშრომელებს, მათს შვილებს, სოფლის სტუმრებს საუკეთესო მომსახურებას უწევს მაღაზიის გამყიდველი, სოფლის მკვიდრი ლამარა ჯოხარიძე.

Დ. ᲒᲔᲠᲒᲘᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

● **ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ** (საკ. კორ.). **დაბა ლენინის კიდევ ერთი ახალი ხეივანი შეემატა. იგი მდინარე ლახკადურის მარცხენა ნაპირზე გაშენდა. ყველა შრომატევადი სამუშაო აქ საზოგადოებრივ საწყისებზე, მასობრივ შაბათობაზე შესრულდა.**

ახლახან დამთავრდა სასტუმროსა და კინოთეატრის რეკონსტრუქცია, აიგო ჩამოსულ ალპინისტთა დასასვენებელი სახლი, ბიტონის არტახებში მოეწყო მდინარე ცხენისწყალი, გაშენდა გზები და ხიდები.

● **ᲒᲝᲠᲘ.** ქალაქის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ახალი კერა შეემატა. ბამბეულის საწარმოო გაერთიანების დასახლებაში გაიხსნა ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის მე-13 ფილიალი.

ბიბლიოთეკის გახსნის პირველსავე დღეებში ახობით მკითხველ ფეიქარს შეუუსვს ბარათები და პირველი წიგნებიც გასცეს.

Ი. ᲖᲕᲐᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲗ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲗ...

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲓᲦᲔᲡ თბილისის ჭადრაკის სასახლეში საღამოს 7 საათზე დაიწყება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების — ნანა ალექსანდრიასა და ნანა იოსელიანის ფინალური მატჩის გახსნის საზეიმო ცერემონიალი. ამავე დღეს წილისყრით გაირკვევა, თუ ვინ გააკეთებს პირველ სვლას ამ მნიშვნელოვან საეტაპო შეჯიბრებაში. მსოფლიოს ჩემპიონთან — მაია ჩიბურდანიძესთან შეხვედრის უფლების მოპოვებისათვის თავდაპირველად 8 პრეტენდენტი იბრძოდა, რომელთაგან ოთხი — ნონა გაფრინდაშვილი, ნინო გურეიელი, ნანა ალექსანდრია და ნანა იოსელიანი ჩვენს რესპუბლიკას წარმოადგენდნენ. და აი, მათგან მხოლოდ თბილისელები — ორი ნანა — ალექსანდრია და იოსელიანი შემორჩნენ მსოფლიო საჭადრაკო მწვერვალისაკენ მიმავალ უღელვეს გზას. ნანა ალექსანდრიამ პრეტენდენტთა ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა ელენე ახმილოვსკაიას დამარცხებით (5,5:3,5), შემდეგ კი მარტა ლიტინსკაიასთან გამარჯვებით (7:5), აღსანიშნავია ისიც, რომ ალექსანდრია უკვე მეოთხედ იბრძვის მსოფლიო ჩემპიონობისათვის. რაც შეეხება ნანა იოსელიანს, იგი პრეტენდენტთა საშეჯიბრებო ცეკლში პირველად ასპარეზობს. მან მეოთხედფინალში დაამარცხა უნგრელი ჟუჟა ვერეცი (6:3), ხოლო ნახევარფინალური მატჩი ნონა გაფრინდაშვილთან ყაიმით (7:7) დამთავრა. გამარჯვება იოსელიანს მიეკუთვნა, ვინაიდან მას შავებით მეტი მოგება ჰქონდა. ფინალისტებს სპორტული კარიერის განმავლობაში არაერთი დიდი წარმატება მოუპოვებიათ, მათს ჩამოთვლას ამჟამად არ შევუდგებით. მაგრამ ერთს კი ვიტყვით, რომ საერთოდ ქართველი მოჭადრაკე ქალები ყოველთვის მხარში ედგნენ ერთმანეთს და საჭადრაკო დაფასთან მეტოქეობას არასოდეს დაუჩრდილავს ის მეგობრული სულისკვეთება, რომელიც მათს ურთიერთდამოკიდებულებაში ყოველთვის იყო და იქნება. ამის დასტური აქ დაბეჭდილი სურათიც გახლავთ, რომელზეც ხედავთ მეტოქეებსა და მეგობრებს — ნანა ალექსანდრიას და ნანა იოსელიანს. დახედეთ სურათს, როგორი ღიმილით, რა ჭეშმარიტი მეგობრული განწყობილებით მიემართებიან ისინი თბილისის ჭადრაკის სასახლისაკენ. სწორედ ამ დროს იხილა ისინი ფოტორეპორტიორმა ა. საკოვმა და ფოტოფირზეც აღბეჭდა. ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, როგორი შედეგებიც უნდა დამთავრდეს მათი პაექრობა საჭადრაკო დაფასთან, გუშინდელი მეტოქეები კვლავ მეგობრებად დარჩებიან.

ახლა კი მატჩის რეგლამენტის, ფინალისტთა სეკუნდანტების და მთავარი არბიტრის შესახებ. მატჩის მონაწილეებმა უნდა ითამაშონ 12 პარტია. ის, ვინც 6,5 ან 7 ქულას დააგროვებს, გამარჯვებულად გამოცხადდება და მომავალში გადაწყვეტს მატჩს ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესთან. იმ შემთხვევაში, თუ მატჩის თორმეტივე პარტიის შემდეგ ანგარიში საყაიმო იქნება (6:6), დაინიშნება 2 დამატებითი პარტია. და თუ კვლავ ყაიმი აღინიშნა, კვლავ 2 დამატებითი შეხვედრა გაიმართება. თუ ამანაც ვერ გამოავლინა გამარჯვებული, მაშინ უპირატესობა მიეკუთვნება იმს, ვისაც შავებით მეტი გამარჯვება ექნება. და კიდევ, შავებით თანაბარი რაოდენობის გამარჯვებათა შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელსაც შავებით უკანასკნელი პარტია ექნება მოგებული. თუ შავებით ვერც ერთი ვერ გაიმარჯვებს, ყველაფერს წილისყრა გაარკვევს. ალექსანდრიას სეკუნდანტი იქნება მოსკოველი მ. დვორეცკი, იოსელიანისა კი — მოსკოველი ვ. იურკოვი. აღნიშნული ფინალური მატჩის მთავარ მსაჯად მოწვეულია მოსკოველი არბიტრი ლ. აბრამოვი.

მაშ ასე, დღეს მატჩის საზეიმოდ გახსნის ცერემონიალია, ხვალ კი მეგობრები საჭადრაკო დაფას მიუსხდებიან. როგორი იქნება ბრძოლა? რა თქმა უნდა, შეუპოვარი და საინტერესო. ნეტავ ორივემ გაიმარჯვოს! თუმცა ასე არ ხდება, მაგრამ ისიც ხომ ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქალთა საჭადრაკო სკოლა კარგა ხანია ბრწყინავს და მოცემულ ეტაპზეც მისი წარმატება უზრუნველყოფილია: მსოფლიოს ჩემპიონიცა და ორივე პრეტენდენტიც ხომ თბილისელები არიან და მათ შორის, ვინ რომელ საფეხურზე დარჩება, ამას წლეულს გავიგებთ!

Ჯ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მარცხნიდან — ნანა იოსელიანი და ნანა ალექსანდრია.

ᲝᲗᲮᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ წლის პირველ თვეში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა მართლაც ოსტატური და ლაღი თამაშით თავიანთ ქომაგებს დიდი სიხარული მიანიჭეს. ერთი სიტყვით, გუნდმაც ირწმუნა თავისი ძალა და, ალბათ უკვე თვით უალრესმა სკეპტიკოსებმაც. გავიხსენოთ გუშინწინდელი მატჩი, რომელშიც თბილისის „დინამომ“ კიევის არმიელთა კოლექტივს უმასპინძლა. სტუმრებმა მხოლოდ პირველი ტაიმის დასაწყისში შეძლეს ერთგვარად თანაბარი მეტოქეობის გაწევა, ხუთიოდე წუთის შემდეგ კი თბილისელებმა თამაშის სადავეები მთლიანად ხელთ იგდეს და ერთთავად ინიციატივას ფლობდნენ. დროდადრო დინამოელები ხან 10, ხან 15 თუ 17 ქულით წინაურდებოდნენ და საბოლოოდ 11 ქულის სხვაობით გაიმარჯვეს — 101:90 (54:40). თვით მაშინაც კოროცა მატჩის მიწურულს დინამოელთა რიგებში მეტი წილი ჯერ ნაკლებად ნაცადი ახალგაზრდობა იყო, „დინამოს“ პოზიცია არ დაუთმია.

დერეფანმა უკვე დამკვიდრებული ტრადიციისამებრ კოლექტივს ქულათა დიდი მარაგი შესძინა —34 ქულა. დიდებული შთაბეჭდილება დატოვა გულდედავამ. მან, რომ იტყვიან, თამაშიდან გამოთიშა კიეველთა საუკეთესო სნაიპერი სალნიკოვი. ეს უკანასკნელი მხოლოდ მაშინ გამოდიოდა მოედანზე, როცა გულდედავა სათადარიგოთა სკამს მიაშურებდა. სწორედ ამ დროს შლიდა ფრთებს სალნიკოვი და სწორედ ასეთ მომენტებში მოიმკა მან 36 ქულა.

თბილისის „დინამო“ რომ საუკეთესოთა ექვსეულში მოხვდება (მას 20 მატჩიდან 14 გამარჯვება აქვს), უკვე ეჭვს არ იწვევს. ახლა მის წიხაზე უფრო რთული ამოცანა დგება: მოპოვებულის განმტკიცება (გუნდს კიდევ 4 მატჩი აქვს გასამართავი: მასპინძლად—კიევის „სტროიტელთან“, სტუმრად — რიგის ვეფთან, მინსკის რტისთან და ყაზანის „ალგირისთან“) და ექვსეულში საპრიზო ადგილისათვის შეუპოვარი ბრძოლა.

Ჯ. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ.

Ა. Ე. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ

ქართველ მეცნიერ მედიკოსთა რიგებს გამოაკლდა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 1921 წლიდან სკკპ წევრი პროფესორი ანთეოზ ერასტის ძე ასათიანი.

ა. ასათიანი დაიბადა 1895 წელს ქუთაისში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1916 წელს, უმაღლესი სამედიცინო განათლების მისაღებად შევიდა პეტროგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. იგი თავიდანვე ჩაება სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში, აქტიურად მონაწილეობდა 1917 წლის ჯერ თებერვლის, ხოლო შემდეგ ოქტომბრის რევოლუციების დროს, სტუდენტთა დემონსტრაციებში.

1919 წელს ა. ასათიანი ბრუნდება სამშობლოში და თბილისის ახლად გახსნილ სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტს ამთავრებს. წლების მახძილზე ა. ასათიანი იყო პარტიულ სამუშაოზე, მუშაობს გაზეთ „კომუნისტის“ პასუხისმგებელ მდივნად, ახალციხის სამაზრო კომიტეტის პირველ მდივნად, ამიერკავკასიის აგდილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ, ამავე დროს ამიერკავკასიისა და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წევრია.

1938 წლიდან მთელი მისი მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტთან არის დაკავშირებული, სადაც ჯერ ზოგადი ჰიგიენის კათედრის ხელმძღვანელობდა, ხოლო შემდეგ 25 წლის განმავლობაში განაგებდა სოციალური ჰიგიენისა და ჯანდაცვის ორგანიზაციის კათედრას.

ა. ასათიანს ეკუთვნის 80-ზე მეტი ნაშრომი. მან შექმნა პირველი ორიგინალური სახელმძღვანელო ქართულ ენაზე საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის საკითხებზე.

1947-52 წლებში ა. ასათიანი მუშაობდა საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. პროფ. გ. ნათაძესთან ერთად მან დააარსა საქართველოს ჰიგიენისტთა სამეცნიერო საზოგადოება, იყო ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილე ისტორიკოს-მედიკოსთა საზოგადოების შექმნისა, შემდეგ კი არჩეულ იქნა ამ საზოგადოებათა საპატიო თავმჯდომარედ.

ენერგიულმა, პრინციპულმა, უანგარო და კეთილშობილმა მოღვაწემ ა. ასათიანმა ღირსეულად მოიხადა ვალი თავისი ქვეყნის წინაშე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲠᲝᲠᲑᲘᲢᲐ

**ᲭᲐᲓᲠᲐ